სიძულვილის ენა

2019

USAID
ამერიკელები საქართველოს

MDF
მედიის განვითარების ფონდი

unag

სიძულვილის ენა

2019

რედაქტორი:
თამარ კინწურაშვილი

ავტორი:
თინა გოგოლაძე

მონაცემთა დამუშავება:
მარიამ ცუცქირიძე

მედია მონიტორინგი:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე,
ხატია ლომიძე, სოფო ჩხაიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია, IBDESIGN

გარეკანის ფოტო: Shutterstock, Lightspring

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

© 2020, მედიის განვითარების ფონდი

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE

შესავალი

წინამდებარე კვლევა 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მედია მონიტორინგის შედეგებს ასახავს. კვლევის მიზანია მედიასა და საჯარო დისკურსში სიძულვილის ენის სხვადასხვა ფორმებისა და მათი წყაროების იდენტიფიცირება, ასევე ძირითადი ტენდენციების ანალიზი.

მედია მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვება როგორც მედია საშუალებებზე, ასევე სხვა წყაროებზე – პოლიტიკურ კლასზე, სასულიერო პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე ხორციელდებოდა.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მთავარი მიგნებები და მეთოდოლოგია; პირველ ნაწილში მოცემულია ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები, მეორე ნაწილში კი - სიძულვილის ენის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით.

ანგარიში საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ (PITA) ფარგლებში მომზადდა.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია. დაკვირვება 15 მედია საშუალებაზე ხორციელდებოდა. ტელევიზიების შემთხვევაში, პროგრამული ბადის ცვლილებების გამო, ზოგიერთი გადაცემა, რომელიც ეთერიდან მოიხსნა, ახალი ანალოგიური ფორმატის გადაცემებით ჩანაცვლდა. მონიტორინგი შემდეგ სუბიექტებზე განხორციელდა:

- **4 ტელევიზიის პრაიმ თაიმის ყოველდღიური საინფორმაციო და კვირის ანალიტიკური გამოშვება:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე, ახალი კვირა), რუსთავი 2 (კურიერი, P.S.)[1], იმედი, (ქრონიკა, იმედის კვირა). ობიექტივის საინ-ფორმაციო გამოშვება (ახალი ამბები).
- **5 ტელევიზიის თოქ-შოუ:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (კვირის ინტერვიუ), რუსთავი 2 (არჩევანი) შემდგომში მთავარი (არჩევანი)[2], იმედი (პირისპირ)[3], ობიექტივი (ღამის სტუდია; დღის ბოლოს[4]), კავკასია (ბარი-ერი, სპექტრი),
- **6 ონლაინ გამოცემა:** საქინფორმი, ნეტგაზეთი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, მარშალპ-რესი.
- **4 გაზეთი:** რეზონანსი, კვირის პალიტრა, ასავალ-დასავალი, ალია.

მონიტორინგი როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს ასახავს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს დისკრიმინაციული კომენტარების რაოდენობას თემატიკისა და წყაროების მიხედვით, ხოლო თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია.

[1] მას შემდეგ რაც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2019 წლის ივლისში არ დააკმაყოფილა „რუსთავი 2“-ის სარჩელი მონიტორინგის სუბიექტი, „რუსთავი 2“-ის, ყოფილი თანამშრომლების მიერ დაფუძნებული ტელეკომპანია „მთავარი“ გახდა, კერძოდ საინფორმაციო გამოშვება „მთავარი“ და კვირის ანალიტიკური გადაცემა „პოსტ ფაქტუმი“.

[2] ტვ „რუსთავი 2“-ის მფლობელის შეცვლის შემდეგ გადაცემამ „არჩევანი“ ახლადდაფუძნებული „მთავარი არხის“ ეთერში გადაინცავლა, შესაბამისად 2019 წლის ოქტომბრიდან მონიტორინგის სუბიექტი შეიცვალა.

[3] 2019 წლის ნოემბერში იმედზე გადაცემა „პირისპირ“ დახურვის შემდეგ, მონიტორინგის სუბიექტი თოქ-შოუ „არენა“ გახდა.

[4] თოქ შოუ „დღის ბოლოს“ მონიტორინგის სუბიექტი 2019 წლის სექტემბერში, ვალერი კვარაცხელიას საავტორო გადაცემის „ოქროს კვეთის“ დახურვის შემდეგ გახდა.

სარჩევი

მთავარი მიგნებები	**7**
1. ერთიანი რელიგიურ-ეროვნული მონაცემები	**9**
1.1. ჰომოფობია	11
1.2. ქსენოფობია	11
1.3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	14
1.4. სიძულვილის ენა სხვადასხვა მოტივით	14
1.5. რასიზმი	15
2. სიძულვილის ენა წყაროების და ტიპოლოგიის მიხედვით	**16**
2.1 მედია	16
2.2 პარტიები	23
2.3 საზოგადოებრივი ორგანიზაციები	28
2.4 სასულიერო პირები	31
2.5 საზოგადოება	33

დიაგრამები

დიაგრამა 1.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია	9
დიაგრამა 2.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია 2016-2019 წლებში	10
დიაგრამა 3.	ჰომოფობიის გზავნილები	11
დიაგრამა 4.	ქსენოფობიის ტიპოლოგია	12
დიაგრამა 5.	ანტიმიგრანტული გზავნილები	13
დიაგრამა 6.	თურქოფობიის გზავნილები	13
დიაგრამა 7.	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	14
დიაგრამა 8.	სიძულვილის ენა სხვა მოტივით	15
დიაგრამა 9.	სიძულვილის ენის წყაროები	16
დიაგრამა 10.	სიძულვილის ენის წყაროები მედიების მიხედვით	17
დიაგრამა 11.	სიძულვილის ენა მედიების და მათი რესპონდენტების მიხედვით	17
დიაგრამა 12.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით	18
დიაგრამა 13.	სიძულვილის ენის წყაროები პარტიების მიხედვით	24
დიაგრამა 14.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია პარტიების მიხედვით	24
დიაგრამა 15.	სიძულვილის ენის წყაროები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით	29
დიაგრამა 16.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით	29

მთავარი მიგნებები

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- მონიტორინგის პერიოდში სულ 1918 დისკრიმინაციული განცხადება გაშუქდა, საიდანაც ყველაზე დიდი წილი ჰომოფობიური შინაარსის იყო, რასაც ქსენოფობიური კომენტარები მოსდევს;
- 2018 წელთან შედარებით, ჰომოფობიური განცხადებების რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია, ქსენოფობიური, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი და რასისტული კომენტარები კი – შემცირებული.
- აქტუალური იყო შემდეგი ჰომოფობიური გზავნილები: ჰომოსექსუალები ღმერთს უპირსპირდებიან; ანტიდისკრიმინაციული კანონი ჰომოსექსუალებს სხვა ჯგუფებთან ათანასწორებს; ჰომოსექსუალები ავადმყოფები არიან და მათ გამოხატვის თავისუფლება უნდა შეეზღუდოთ; გეიპრაიდი პროვოკაციაა; გეი ფილმები („და ჩვენ ვიცკევეთ“, „კომეტები“) გარყვნილების პროპაგანდაა, დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, რუსეთი ებრძვის მას.
- 20 ივნისის ანტიდასაოკუპაციო აქციის გეი პრაიდთან და ლგბტ თემთან დაკავშირებას, როგორც მედია, ასევე ანტილიბერალური დაჯგუფება „ქართული მარში“ ახდენდა. მკვიდრდებოდა მოსაზრებები, რომ ანტისაოკუპაციო აქციაზე პრემიერ გახარიას გადადგომას ნაციონალები და „პიდარასტები“ ითხოვენ.
- ქსენოფობიური გზავნილების ყველაზე დიდი წილი ანტიმიგრანტული შინაარსის კომენტარებზე მოდის, რასაც თურქოფობიური განცხადებები მოსდევს.
- ანტიმიგრნატული დისკურსი მედიაში შემდეგი გზავნილების კულტივირებას ახდენდა: მოლოდინი, რომ ახალი ხელისუფლება „უცხოტომელთა ჩამოსახლებას“ შეწყვეტდა, არ გამართლდა; **განათლების სისტემა მოზარდებს „ოსმალიზაციისა“ და „არაბიზაციისთვის“ ამზადებს**; მიგრანტები = კრიმინალის ზრდას/სექსუალურ ძალადობას/დემოგრაფიულ საფრთხეს; **მარაკეშის ხელშეკრულება აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიგრანტების მიღებას გვავალდებულებს**;
- თურქოფობიის შემთხვევაში ყველაზე ხშირად პატრიოტთა ალიანსი და მასთან დაკავშირებული ტვ „ობიექტივი“ ფიგურირებდნენ, რომლებიც შემდეგ გზავნილებს კულტივირებდნენ: თურქეთი ისტორიული მტერია; თურეთი აჭარაში ექსპანსიას ახორციელებს; **ყარსის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ თურქეთი აჭარას დაიბრუნებს/ტერიტორიული მთლიანობის გარანტი რუსეთია,** თუ რუსეთი ოკუპანტია, თუქეთიც ოკუპანტია; **ნეიტრალიტეტი თურქული ექსპანსიის შეჩერების გარანტია**.
- აზერბაიჯანელების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები ძირითადად დავით გარეჯთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა, რაც ამკვიდრებდა აზრს, რომ აზერბაიჯანი ქართული ტერიტორიის მიტაცებას, ოკუპაციას ცდილობს.

- არმენოფობიური ხასიათის კომენტარები მეტწილად პოლიტიკოსების და ცალკეული პირების სომხური გვარით ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას უკავშირდებოდა.
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული განცხადებების უმეტესობა ისლამოფობიური შინაარსის იყო, რასაც იეჰოვას მოწმეების და არამართლმადიდებლური კონფესიების წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები მოსდევდა.
- მკვიდრდებოდა აზრი, რომ მიმდინარეობს აჭარის ისლამიზაცია, რომ **ისლამიზაციისგან საქართველო ისტორიულად რუსეთმა იხსნა; იეჰოვას მოწმეებისგან დაცვა კი მხოლოდ მართლმადიდებელ რუსეთს ძალუძს**.
- სხვადასხვა მოტივით სიძულვილის ენის შემცველი კომენტარებიდან ყველაზე მეტი შემთხვევა ინდივიდუალური შუღლის გაღვივებასა და ძალადობის წამახალისებელ კომენტარებზე მოდის.
- სიძულვილის ენის შემცველი ყველაზე მეტი კომენტარი მედია საშულებებმა გააკეთეს, რასაც თითქმის თანაბრად პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები მოსდევენ.
- მედიიდან ყველაზე ხშირად სიძულვილის ენის ტირაჟირებას, წინა წლების მსგავსად, კრემლთან დაკავშირებული „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები და ავტორები ახდენდნენ, რასაც ეთნო-ნაციონალისტური გამოცემა „ასავალ-დასავალი“, პრორუსულ პარტია „პარტიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული ტელევიზია „ტვ ობიეტივი“, კრემლისტური სააგენტო „საქინფორმი“, ეთნო-ნაციონალისტური გაზეთი „ალია“, ასევე „რეზონანსი“ მოსდევენ.
- პოლიტიკური პარტიებიდან სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად „პარტიოტთა ალიანსის“ წევრები მიმართავდნენ, რასაც „ქართული დასის“, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსა“ და „ქართული იდეის“ წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებები მოსდევს. მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ წევრებმა მონიტორინგის პერიოდში 28 დისრკიმინაციული განცხადება გაკეთეს, ხოლო ოპოზიციური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა – 11.
- პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური შინაარსის იყო. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ საკითხებზე იკვეთებოდა მმართველი პარტიის და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა (გეი ფილმის ჩვენება), ასევე „ქართული ოცნებისა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ (ანტისაოკუპაციო პროტესტის გეი რევოლუციასთან დაკავშირება) შეფასებების თანხვედრა.
- გამოიკვეთა 8 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად მიმართავდა, მათგან ლიდერობენ „ქართული მარში“ და „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“, რომელთაც „უფლებადამცველთა გაერთიანება“, „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული ფონდი“, „ქართული მისია“, „სახალხო კრება“ და „ევრაზიის ინსტიტუტი“ მოსდევენ.
- სასულიერო პირთა მიერ გაკეთებული განცხადებათა უმეტესობა ჰომოფობიური შინაარსის იყო, რასაც ქსენოფობიური და რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციული კომენტარები მოსდევს, მათ შორის **კათოლიციზმის მწვალებლობად, ხოლო კათოლიკეებთან თანამშრომლობის განსაცდელად წარმოჩენის შესახებ**.
- ისევე, როგორც პოლიტიკოსების და სასულიერო პირების შემთხვევაში, საზოგადოების წევრთა მიერ გაკეთებული განცხადებების უმრავლესობა ჰომოფობიური შინაარსის იყო.

1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

მონიტორინგის პერიოდში (2019 წლის 1 იანვარი – 31 დეკემბერი) სულ 1918 დისკრიმინაციული განცხადება გაშუქდა, საიდანაც ყველაზე დიდი წილი – 63,3% (1214) ჰომოფობიური შინაარსის იყო, რასაც ქსენოფობიური კომენტარები (28,1% – 538) მოსდევს; სხვადასხვა ნიშნით სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების წილი 4,4%-ია (84), ხოლო რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (4.0% – 76), ისევე როგორც რასისტული კომენტარები (0.2% – 6) წინა წელთან შედარებით შემცირებულია.

დიაგრამა 1. სიძულვილის ენის ტიპოლოგია



	ჰომოფობია	ქსენოფობია	სიძულვილის ენა	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	რასიზმი
მედია	409	195	19	22	1
პოლიტიკოსები	191	170	20	21	0
საზოგადოებრივი ორგანიზაციები	254	57	7	10	1
სასულიერო პირები	111	22	4	7	1
საზოგადოება	249	94	34	16	3
სულ	**1214**	**538**	**84**	**76**	**6**

2018 წელთან შედარებით, ჰომოფობიური განცხადებების რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია (2019 – 1214; 2018 – 732), ქსენოფობიური (2019 – 538; 2018 – 802), რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი (2019 – 76; 2018 – 154) და რასისტული (2019 – 6; 2018 – 54) კომენტარები კი – შემცირებული.

დიაგრამა 2. სიძულვილის ენის ტიპოლოგია 2016-2019 წლებში



	ჰომოფობია	ქსენოფობია	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	სიძულვილის ენა	რასიზმი
2019 წელი	1214	538	76	84	6
2018 წელი	732	802	154	72	54
2017 წელი	731	948	140	86	20
2016 წელი	454	238	71	90	15

1.1 ჰომოფობია

ჰომოფობიური განცხადებების უმრავლესობა ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას (275); რომ ჰომოსექსუალობა გადახრა, ცოდვა და გარყვნილებაა (209); ლგბტ თემის გამოხატვის თავისუფლება გარყვნილების პროპაგანდად და უმრავლესობის უფლებების ხელყოფად იყო წარმოდგენილი (196). ისმოდა თემის წარმომადგენლებისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მოწოდებები (188), ასევე ხდებოდა ინდივიდუალური სექსუალური ორიენტაციის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენა (106).

ლგბტ თემატიკაზე შექმნილი ლევან აკინის ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ და თამარ შავგულიძის ფილმის „კომეტების“ კინო პრემიერების წინააღმდეგ კომენტარები 2019 წელს საპროტესტო აქციების ფონზე კეთდებოდა (57), რასაც თემის მიმართ ძალადობის წამახალისებელი განცხადებებიც (33) ერთვოდა თან.

ხდებოდა პოლიტიკური პარტიების ლგბტ თემთან დაკავშირება (40), მათ შორის ანტისაოკუპაციო პროტესტთან მიმართებით. გეი ქორწინებისა და მათთვის შვილის აყვანის უფლების შეზღუდვასთან ერთად (31), ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებისა (30) და ლგბტ თემის აქტივობების კანონით აკრძალვის (12) მოწოდებებიც ისმოდა.

დიაგრამა 3. ჰომოფობიის გზავნილები



1.2 ქსენოფობია

ქსენოფობიური გზავნილების ყველაზე დიდი წილი ანტიმიგრანტული შინაარსის კომენტარებზე მოდის (277), რასაც თურქოფობიური განცხადებები მოსდევს (136). აზერბაიჯანლების წინააღმდეგ 65 განცხადება ძირითადად დავით გარეჯთან[5] დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა, რაც ამკვიდრებდა აზრს, რომ აზერბაიჯანი ქართული ტერიტორიის მიტაცებას, ოკუპაციას ცდილობს. 41 კო-

მენტარი არმენოფობიური ხასიათის იყო და მეტწილად პოლიტიკოსების და ცალკეული პირების სომ-ხური გვარით ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას უკავშირდებოდა. სხვადასხვა ეთნოსების წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები (19) ამ ჯგუფებს სეპარატიზმისა და ტერიტორიების დაკარგვის საფრთხესთან აკავშირებდა, ასევე ეთნიკურად არაქართველი მოქალაქეების თანამდებობაზე დანიშვნას მიუღებლად მიიჩნევდა.

დიაგრამა 4. ქსენოფობიის ტიპოლოგია



ანტიმიგრანტული გზავნილებიდან (277) ყველაზე დიდი წილი თავად მიგრაციის პროცესის და გაეროს კომპაქტის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც სხვადასხვა წყაროების ინტერპრეტაციით, საქართ-ველოს მიგრანტების მიღების ვალდებულებას აკისრებს (106), მიგრანტების კრიმინალთან დაკავშირებას-თან ერთად (42), კეთდებოდა განცხადებები უცხოელებზე მიწებისა თუ სხვა უძრავი ქონების გასხვისების (33), ინვესტორების, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ბინადრობისა და მოქალაქეობის გაცემის წინააღ-მდეგ (13). ხდებოდა მიგრანტების დემოგრაფიულ საფრთხედ წარმოჩენა (25), კეთდებოდა განცხადებები ირანელების (17), ჩინელებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების (11) წინააღმდეგ. ვრცელდებოდა მოსაზრებები, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეები პრივილეგიებით სარგებლობენ (7). ხდებოდა ისტორი-ული ტრავმების გაღვივებაც (5).

[5] დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სადავო მონაკვეთზე მდებარეობს, რაც დროდადრო კონფრონტაციის საფუძველი ხდება.
ეკა ქევანიშვილი, რადიო თავისუფლება, 30 აპრილი, 2019. დავით გარეჯის დილემა. https://bit.ly/2ZMevhe

დიაგრამა 5. ანტივიგრანტული გზავნილები



თურქოფობიული გზავნილების (136) უმეტესობა ამკვიდრებდა აზრს, რომ თურქეთი საქართველოს ექსპანსიას ახორციელებს (42); რომ რუსეთის ამჟამინდელი ოკუპაცია და თურქეთის ისტორიული ოკუპაცია თანაზომადი საფრთხე იყო („თუ რუსეთი ოკუპანტია, თურქეთიც ოკუპანტია“ – 20). ხდებოდა მეზობელი სახელმწიფოს მტრად, აგრესორად და საფრთხედ (18) წარმოჩენა, ისტორიული ტრავმების გაღვივება (14). ისმოდა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ წინა და ამჟამინდელი ხელისუფლებები თურქეთის ინტერესების თანახმად მოქმედებდნენ (14); თურქეთი საქართველოს საკუთარ ტერიტორიად განიხილავს (11); ყარსის ხელშეკრულებას 2021 წელს[6] ვადა გასდის, რის შემდეგაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვერ დაიცავს და აჭარას თურქეთი დაიბრუნებს (5). ამ კონტექსტში კეთდებოდა განცხადებები, რომელიც რუსეთს თურქეთისგან დაცვის გარანტად წარმოაჩენდა (4).

დიაგრამა 6. თურქოფობიური გზავნილები



[6] ყარსის ხელშეკრულება 1921 წლის 23 ოქტომბერს თურქეთს, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ქალაქ ყარსში დაიდო. შეთანხმების თანახმად, თურქეთმა აჭარის ნაწილი, ქალაქ ბათუმის ჩათვლით, ასევე ქალაქი გიუმრი საბჭოთა კავშირს გადასცა, ხოლო სანაცვლოდ ყარსი, ართვინი და არტაანი მიიღო.
http://mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsiapotshi-natos-samkhedro-bazis-shesadzlo-gakhsnis-da-qarsis-khelshekrulebis

არმენოფობიური შინაარსის (41) განცხადებების უმრავლესობა სომხურ იდენტობას ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენდა, რა დროსაც ცალკეულ პიროვნებებს, მათი ეთნიკური იდენტობის მიუხედავად, სომხებად მოიხსენიებდნენ (22), რასაც მოსდევდა კომენტარები სომხეთის მიერ აფხაზეთის მისაკუთრების მცდელობების შესახებ (12). 5 კომენტარში სომხეთის სახელმწიფოს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებაში ედებოდა ბრალი, ხოლო ერთი კომენტარი საქართველოს პარლამენტის წევრის რუსლან პოღოსიანის და მისი ეთნიკური კუთვნილების წინააღმდეგ გაკეთდა.

1.3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული განცხადებების (76) უმეტესობა ისლამოფობიური შინაარსის (47) იყო, რასაც იეჰოვას მოწმეების (9) და არამართლმადიდებლური კონფესიების წინააღმდეგ (8) გაკეთებული კომენტარები მოსდევდა. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციულ კონტექსტში იყო მოხსენიებული ევანგელურ – ბაპტისტული (5) და კათოლიკური (5) ეკლესიები. ერთი განცხადება იუდეველთა, ერთი კი სხვადასხვა სექტების წარმომადგენლების წინააღმდეგ გაკეთდა.

დიაგრამა 7. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია



1.4 სიძულვილის ენა სხვადასხვა მოტივით

სხვადასხვა მოტივით სიძულვილის ენის შემცველი კომენტარებიდან (84) ყველაზე მეტი შემთხვევა ინდივიდუალური შუღლის გაღვივებასა და ძალადობის წამახალისებელ კომენტარებზე (38) მოდის. 27 განც-

ხადება ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობის წევრებს ეხებოდათ. სიძულვილის ენის შემცველი 7 კომენტარი „მთავარი არხის“ (ყოფილი „რუსთავი 2“) ჟურნალისტების მისამართით გაკეთდა. თითქმის თანაბარი იყო ოპოზიციური პარტიის „ევროპული საქართველოს“ (4) და მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ (5) მისამართით გაკეთებული კომენტარები.

დიაგრამა 8. სიძულვილის ენა სხვა მოტივით



1.5 რასიზმი

რასისტული შინაარსის 6 განხადებიდან სამი თანაბრად გაიყო მედიის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სასულირო პირებს შორის, ხოლო დანარჩენი სამი საზოგადოების წარმომდგენლებმა გააკეთეს.

2. სიძულვილის ენა წყაროების მიხედვით

სიძულვილის ენის შემცველი ყველაზე მეტი კომენტარი მედია საშულებებმა (646) გააკეთეს, რასაც თითქმის თანაბრად პოლიტიკოსები (402) და საზოგადოების წარმომადგენლები (396) მოსდევენ. სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრებმა ჯამში 329 დისკრიმინაციული განცხადება გააკეთეს, ყველაზე ნაკლები – სასულიერო პირებმა (145).

დიაგრამა 9. სიძულვილის ენის წყაროები



2.1 მედია

სიძულვილის ენის მედია წყაროები წინა წლების იდენტურია: ყველაზე ხშირად სიძულვილის ენის ტირაჟირებას კრემლთან დაკავშირებული „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები და ავტორები ახდენდნენ (286), რასაც ეთნო-ნაციონალისტური გამოცემა „ასავალ-დასავალი“ მოსდევს (163). პრორუსულ

პარტია „პარტიოთა ალიანსთან“ დაკავშირებული ტელევიზიის „ტვ ობიეტივის“ ჟურნალისტების მხრიდან 94 დისკრიმინაციული კომენტარი გაკეთდა; კრემლისტური სააგენტო „საქინფორმის“ მხრიდან კი – 49. ეთნო-ნაციონალისტური გაზეთის „ალიას“ შემთხვევაში 33 დისკრიმინაციული კომენტარი გაკეთდა; გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტების მხრიდან კი – 7.

დიაგრამა 10. სიძულვილის ენის წყაროები მედიების მიხედვით



ყველაზე მეტ რესპონდენტს, რომელიც სიძულვილის ენას მიმართავდა, ტვ ობიექტივის (293) ეთერში ვხვდებით, მათი რიცხვი ასევე მაღალია სააგენტო „მარშალპრესის“ (181), გაზეთების „ასავალ დასავალის“ (126); „საქართველო და მსოფლიოს“ (108); სააგენტო ინტერპრესნიუსის (108) და გაზეთ ალიას (106) შემთხვევაში.

დიაგრამა 11. სიძულვილის ენა მედიების და მათი რესპონდენტების მიხედვით



მედიის მხრიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი (409) გაკეთდა, რასაც სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობია (125) მოსდევს. თურქოფობიურ (50) კომენტარებთან ერთად ვხვდებით ჟურნალისტების არმენოფობიურ (20) შეფასებებსაც.

დიაგრამა 12. სიძულვილის ენის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით



ჰომოფობია

ჰომოფობიური კომენტარების (409) თითქმის ნახევარი ონლაინ გამოცემაზე „საქართველო და მსოფლიო“ (196) მოდის, რომელსაც გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (113), ტელეკომპანია „ობიექტივი“ (44), ონლაინ გამოცემა „საქინფორმი“ (27) და გაზეთი „ალია“ (20) მოსდევენ.

მედია საშუალებები შემდეგ ჰომოფობიურ გზავნილებს ავრცელებდნენ:

- **ჰომოსექსუალები ღვერთს უპირსპირდებიან:** „იქითკენ არის სატანა [ლგბტ და უფლებადამცველები], აქეთკენ არის უფალი... როდესაც კაცობრიობა მიგყავს იქითკენ, რომ მას არ ჰქონდეს ხვალინდელი დღე, აბა, მეტი რა არის სატანა?[7]“ (ნინო რატიშვილი, ტვ „ობიექტივის“ წამყვანი).
- **ანტიდისკრიმინაციული კანონი ჰომოსექსუალებს სხვა ჯგუფებთან ათანასწორებს:** „ამ კანონით ხელისუფლებამ სექსუალური უმცირესობები სხვა ჯგუფებს გაუტოლა და მათაც იგივე უფლებები მიანიჭა[8]“ (ლევან ჯავახიშვილი, გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტი).
- **ჰომოსექსუალები ავადმყოფები არიან და მათ გამოხატვის თავისუფლება უნდა შეეზღუდოთ:** „საზოგადოების მიერ არცთუ ჯანმრთელი ადამიანების ქუჩაში გამოსვლის დაშვება საზოგადოებრივ ცნობიერებაში მასშტაბურ ცვლილებებს გამოიწვევს[9]“ (გიორგი გაჩეჩილაძე, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი).
- **გეი-პრაიდი პროვოკაციაა:** „გეი-პრაიდის ჩატარებას შაბათს აპირებენ?! ეს იქნება პროვოკაცია! მათ იმედი აქვთ, რომ ხალხი წინააღმდეგობას არ გაუწევს! არადა, პროტესტი იქნება! და ეს პროტესტი უპირველესად ხელისუფლების წინააღმდეგ ექნება საზოგადოებას! არ დაუშვათ ამ პროვოკაციული მარშის ჩატარება![10]“ (ბონდო მძინარაშვილი, ტვ „ობიექტივის“ ჟურნალისტი).
- **გეი ფილმი გარყვნილების პროპაგანდაა:** „...და ვიცით, რომ ეს ფილმი [და ჩვენ ვიცეკვეთ] არის შექმნილი გარყვნილების პროპაგანდისთვის[11]“ (ვალერი კვარაცხელია, ტვ „ობიექტივის“ წამყვანი).

7 „ობიექტივი“, ღამის სტუდია, 13 აგვისტო. https://www.myvideo.ge/v/3835257
8 „ალია“, 11-17 მარტი
9 „საქართველო და მსოფლიო“, 20 ივნისი. https://bit.ly/31MHkZS
10 „მარშალპრესი“, 5 ივლისი. https://marshalpress.ge/archives/248250
11 „ობიექტივი“, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 12 ნოემბერი. https://www.myvideo.ge/v/3872832

- **ანტისაოკუპაციო აქციაზე[12] პრემიერ გახარიას გადადგომას ნაცები და „პიდარასტები“ ითხოვენ:** „დიახ, რუსთველის გამზირზე 20 ივნისის აქციიდან მოყოლებული პედერასტები და ნაცები გვერდიგვერდ დგანან და ერთად მოითხოვენ გიორგი გახარიას გადადგომას!... ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნება საქართველოს გეი-პრაიდების საჯლიგინოდ გადაქცევას ნიშნავს! ეს ხომ ერთიანი ნაც-გეი-ანალური მოძრაობაა![13]“ (გიორგი გიგაური, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი).
- **ანტისაოკუპაციო აქცია ჰომოსექსუალთა ერთოგაა, როგელსაც სასულიერო პირები უპირსპირდებიან:** „ერთ მხარეს იდგნენ მამათმავლობის მოწინააღმდეგე, გარყვნილებისა და უზნეობის გასაპროტესტებლად მისული სასულიერო პირები მშვიდობიან მოქალაქეებთან ერთად, ხოლო მეორე მხარეს – „ოკუპაციის“ წინააღმდეგ მებრძოლი აგრესიული ევროლიბერასტები, რომლებიც რამდენიმე დღით ადრე 9 აპრილის მემორიალთან ლგბტ დროშას აფრიალებდნენ[14]“ (ჯაბა ჟვანია, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი).
- **დასავლეთი თავს გვაჯვევს ჰომოსექსუალოგას, რუსეთი ეგრძვის გას:** „აქ მთავარი არის ის, რომ რუსეთი, სწორედ რუსეთი არ ნებდება დასავლეთიდან წამოსულ შეკვეთებსა და დირექტივებს. განსაკუთრებით, მორალის საწინააღმდეგო დირექტივებს[15]“ (ვალერი კვარაცხელია, ტვ „ობიექტივის“ წამყვანი). „რუსეთში ჰომოსექსუალთა პროპაგანდა კანონით არის აკრძალული. აკრალულია დემონსტრაციებისა და შეკრებების ჩატარება და ამის გამო ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ევროპა და ამერიკა აკრიტიკებს[16]“ (ბესო ბარბაქაძე, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი). „...აქ სწორედ ასე დგას საკითხი: არა ასე „რუსეთი თუ ამერიკა?!“, არამედ „პედერასტიას ემხრობი თუ არა?![17] (გიორგი გიგაური, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი)“.

ქსენოფობია

ჰომოფობიის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მედია საშუალებებში ქსენოფობიაზე მოდის (195), რაც ანტიმიგრანტულ (107), ანტიაზერბაიჯანულ (10) თურქოფობიურ (50), არმენოფობიურ (20) და სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების მიმართ გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებებს (8) აერთიანებს.

ანტიმიგრანტული განწყობები. ანტიმიგრნატული დისკურსი მედიაში შემდეგი გზავნილების კულტივირებას ახდენდა:

- **მოლოდინი, რომ ახალი ხელისუფლება „უცხოტომელთა ჩამოსახლებას“ შეწყვეტდა, არ გამართლდა:** „ამანაც [ივანილშვილმა] სააკაშვილის გზა გააგრძელა – ლიბერასტები კიდევ უფრო მოაძლიერა... გვეგონა შეწყდებოდა უცხოტომელთა ჩამოსახლების პროცესი, მაგრამ აქაც შევცდით[18]“ (ლევან ჯავახიშვილი, **„ალიას“** ჟურნალისტი).
- **განათლების სისტემა მოზარდებს „ოსგალიზაციასა“ და „არაგიზაციისთვის“ აამზადებს:** „ჩვენ შვილებს სკოლის მერხიდანვე ასწავლიან და აგუებენ იმას, რომ საქართველოში მათ გვერდით იცხოვრებენ და მათთან ერთად ისწავლიან

12 2019 წლის 20 ივნისს მართლმადიდებელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიაზე რუსეთის სახელმწიფო დუმის კომუნისტი დეპუტატის სერგეი გავრილოვის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის ადგილის დაკავებას ჯერ საპარლამენტო ოპოზიციის, შემდეგ კი პარლამენტის წინ საქართველოს მოქალაქეების პროტესტი მოჰყვა. სამართალდამცავების მიერ აქციის პირველ დღეს მომიტინგეების ძალის გამოყენებით დაშლის შემდეგ კი ანტისაოკუპაციო აქციებმა, სახელწოდებით „სირცხვილია“ პერმანენტული სახე მიიღო. აქციის მონაწილეები მათი მესამე მოთხოვნის – შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება – დაკმაყოფილებას ითხოვდნენ, რაც 20 ივნისს ძალის გამოყენებით აქციის დაშლას უკავშირდებოდა. https://www.mythdetector.ge/ka/myth/trolebi-antisaokupatsio-protestis-cinaaghmdeg

13 „ასავალ-დასავალი“, 1-7 ივლისი.

14 „საქართველო და მსოფლიო“, 10 ივლისი. https://bit.ly/30v7PS1

15 „ობიექტივი“, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 29 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3868281

16 „საქართველო და მსოფლიო“, 17 იანვარი. https://bit.ly/2RwbsqK

17 „ასავალ-დასავალი“, 17-23 ივნისი.

18 „ალია“, 28 იანვარი-3 თებერვალი.

არაბები, აფროამერიკელები, სპარსები თუ ათასი ჯურის გადამთიელები!.. სკოლებში ქართველ ბავშვებს უკვე საქართველოს „ოსმალიზაციის“ და „არაბიზაციციისთვის“ ამზადებენ![19]“ (გიორგი გიგაური, **„ასავალ-დასავალის“** ჟურნალისტი).

- **მარაკეშის ხელშეკრულება[20] აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიგრანტების მიღებას გვავალდებულებს.** „ამ ვითარებაში, ისედაც ამდენი ქართველი გადის საქართველოდან ხომ, ვის ტვინში მოიხარშა, აი ეს არის სახელმწიფოებრიობა? აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან მიგრანტების მიღება“[21] (ნინო რატიშვილი, **ტვ „ობიექტივი“**).
- **მიგრანტები = პრივილეგიის ზრდას / სექსუალურ ძალადობას:** „განა თბილისში პოლიციამ რამდენჯერმე არ დააპატიმრა უცხოელები აღმოსავლეთიდან, რომლებიც პატარა ბიჭებს აუპატიურებდნენ?! და განა თურქულ და სხვა ღამის ბარებში, სადაც ქართველებს შესვლა ეკრძალებათ, არ აბავენ ნორჩ ქართველ გოგონებს პროსტიტუციასა და ნარკომანიაში? ზოგჯერ ეს სექსი აფროამერიკელებთან, ინდოელებთან, სირიელებთან და თურქებთან ხვდება სოციალურ ქსელებსა და YouTube-ზე“[22] (არნო ხიდირბეგიშვილი, **„საქინფორმის“** მთავარი რედაქტორი).
- **მიგრანტები დემოგრაფიულ საფრთხეს ქმნიან:** „თუ ასე გაგრძელდება, ქართველთა ნასოფლარებზე მალე ირანული და ინდური დასახლებები აღმოცენდება – ქვეყანაში შექმნილ კატასტროფულ დემოგრაფიულ ვითარებაზე კრინტს არ ძრავს ხელისუფლება“ (ბესო ბარბაქაძე, **„საქართველო და მსოფლიოს“** ჟურნალისტი)[23].
- **ირანელები მიგრანტების ზრახვები საქართველოში საეჭვოა.** „არსებობს ეჭვი, რომ ირანელები 100 დოლარად კომპანიებს, ინვესტორის სტატუსის მისაღებად აფუძნებდნენ და რეალურად სხვა განზრახვა უდევთ გულში“... (ნინა გარდაფხაძე, **„რეზონანსის“** ჟურნალისტი)[24].
- **ჩინელი მიგრანტები საფრთხეა:** „ბევრ ქვეყანაში აღარ არის საჭირო არც იარაღი, არა? არც ატომური ბომბა,... ძაან ხშირად, ყოფნის, საქართველოს ყოფნის მაგალითად აი, მიგრანტების, მაგალითად უსაზღვროდ შემოსვლა, ჩინელების“ (ნინო რატიშვილი, **„ობიექტივის“** წამყვანი)[25].

თურქოფობიის შემთხვევაში ისევე, როგორ ანტიმიგრანტულ გზავნილებში, ყველაზე ხშირად ტვ „ობიექტივი“ ფიგურირებდა. გზავნილები კი შემდეგი შინაარსის იყო:

- **თურქეთი ისტორიული მტერია:** „ყველა ნორმალურმა ქართველმა, ლამის გენეტიკურ დონეზე იცის, რომ თურქი ნიშანავს მტერს!“ (გიორგი გიგაური, **„ასავალ-დასავალის“** ჟურნალისტი)[26].
- **თურქეთს საქართველოსთან ტერიტორიული პრეტენზიები აქვს:** „დღეს თურქეთი აცხადებს პრეტენზიას გურიაზე, აჭარის რეგიონზე და სამცხე-ჯავახეთის ნაწილზე“ (გიორგი კასრაძე, **ტვ „ობიექტივის“** წამყვანი).[27]
- **თურქეთი აჭარაში ეკონომიკურ ექსპანსიას ახორციელებს:** „...ოფიციალური ანკარა, დღიდან საბჭოთა კავშირის დაშლისა, მცოცავ ეკონომიკურ ოკუპაციას ახორციელებს რეგიონში...“ (ჯაბა ჟვანია, **„საქართველო და მსოფლიოს“** ჟურნალისტი).[28]

19 „ასავალ-დასავალი“, 11-17 ნოემბერი
20 „მითების დეტექტორი“, 26 დეკემბერი, 2018. სპუტნიკის მანიპულაცია გაეროს კომპაქტისა და მიგრაციის ნაკადის ზრდის შესახებ http://www.mythdetector.ge/ka/myth/sputnikis-manipulatsia-gaeros-kompaktisa-da-migratsiis-nakadis-zrdis-shesakheb
21 „ობიექტივი“, ღამის სტუდია, 3 თებერვალი https://www.myvideo.ge/?video_id=3743754
22 „საქინფორმი“, 9 დეკემბერი. https://bit.ly/3g9j6Pq
23 „საქართველო და მსოფლიო“, 13 მარტი https://bit.ly/2O30wvJ
24 „რეზონანსი“, 13 ნოემბერი http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=82586
25 „ობიექტივი“, ღამის სტუდია, 1 აპრილი. https://www.myvideo.ge/?video_id=3771645
26 „ასავალ-დასავალი“, 29 აპრილი-5 მაისი
27 „ობიექტივი“, ღამის სტუდია, 16 თებერვალი https://www.myvideo.ge/v/3749995
28 „საქართველო და მსოფლიო“, 6 ნოემბერი https://bit.ly/32nGNf0

- **თუ რუსეთი ოკუპანტია, თურქეთიც ოკუპანტია:** „დღესდღეობით რუსეთს აფხაზეთის, ცხინვალისა და ქსნის ხეობის სახით დაპყრობილი აქვს ქართული მიწის 12,6 ათასი კვადრატული კილომეტრი, ხოლო თურქეთს – 24,8 ათასი კვადრატული კილომეტრი, ანუ ორჯერ მეტი! ყოველივე ამის შემდეგ რეგვენი ქართელები თურქეთს უწოდებენ „ისტორიულ მეგობარსა“ და „სტრატეგიულ პარტნიორს“ , ხოლო რუსეთს – „მტერსა“ და „ოკუპანტს“! არადა სიმართლე ერთია – ორივე ოკუპანტია, ორივე მტაცებელია!“ (დიტო ჩუბინიძე, **„ასავალ-დასავალის“** ჟურნალისტი)[29].
- **ყარსის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ თურქეთი აჭარას დაიბრუნებს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი რუსეთია:** „ორ წელიწადში კი, 2021 წელს, ყარსის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, აჭარაც (გარანტორი მხარის, ანუ რუსეთის არარსებობის გამო), თურქეთის მფლობელობაში გადავა!.. ამას ზოგიერთი ვაი-ქართველის გასაგონად ვამბობ, რომლებსაც უყვართ თურქულ ყულფში თავის გაყოფა, საიდანაც ისევ რუსები იხსნიან ხოლმე“ (არნო ხიდირბეგიშვილი, **„საქინფორმის“** მთავარი რედაქტორი).[30]

ანტიაზერბაიჯანული განწყობები ძირითადად დავით გარეჯთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა, როდესაც 5 მაისის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სადავო მონაკვეთზე მდებარე სამონასტრო კომპლექსში გადაადგილება აზერბაიჯანულმა მხარემ შეუზღუდა. გამოიკვეთა ორი გზავნილი:

- **აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიის მიტაცებას ცდილობს:** „ანუ აზერბაიჯანი ამ ტერიტორიას, დემონსტრაციულად, თავისად მიიჩნევს! მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-აზერბაიჯანული საზღვრის სწორედ ეს მონაკვეთია ასეთი პრინციპულად სადავო! აბა, არ არის ოსმალური ვირეშმაკობა?!“ (გიორგი გიგაური, **„ასავალ-დასავალის“** ჟურნალისტი)[31].
- **გაქრეს ქვემოგების საპასუხოდ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებები უნდა შეიზღუდოს:** „მოკლედ, თუ აზერბაიჯანი ასე „მეგობრულად“ გააგრძელებს „ვირზე ჯდომას“და 6 ათასი გარეჯელი ბერის მოწამეობრივი სისხლით გაჟღენთილი ქართველთათვის წმინდა მიწის მიტაცებას, მაშინ ჩვენს ტკბილ მეზობლებს მარტივად უნდა ვუთხრათ:...საქართველოში დაიწყება ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანლების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ტოტალური ბოიკოტი!.. არცერთ ახალდაბადებულ ბავშვს არ მივცემთ დაბადების მოწმობას, თუ მათ ქართული სახელი და გვარი არ ექნებათ! ვისაც არ მოეწონება ეს, ჰაიდა ბაქოსკენ!“ (გიორგი გიგაური, **„ასავალ-დასავალის“** ჟურნალისტი)[32].

სხვადასხვა. სხვადასხვა გზავნილებს შორის იყო მიწის უცხოელებზე გასხვისების წინააღმდეგ მიმართული გზავნილები, ასევე ეთნიკური უმცირესობების სეპარატიზმის საფრთხედ წარმოჩენის მცდელობები.

- **მიწების გასხვისების წინააღმდეგ:** „რაკი, კანონმდებლობა და კონსტიტუცია აღარ უშვებს იმას, რომ უცხოელმა შეიძლება პირდაპირი წესით ასე ვთქვათ, შეისყიდოს, გახდეს მფლობელი ქართული მიწის ამიტომ... ცდილობენ ქართველებზე [ფიქტიურ ქორწინებას] და შემდგომ მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღებას და შემდგომ უკვე იმ ქვეყნის ინტერესების გატარებას, მათ მიერ, ხელისუფლებების მიერ მიცემული ფულით ქართული მიწის დაუფლებას“ (ბონდო მძინარაშვილი, **„ობიექტივის“** წამყვანი)[33].

29 „ასავალ-დასავალი“, 11-17 მარტი
30 „საქინფორმი“, 14 იანვარი. http://saqinform.ge/news/40680/arno+xidirbegishvili%3A+Turquli+yulfi++saqarTvelos+marTlmadidebeli+eklesiis+kiserze.html
31 „ასავალ-დასავალი“, 27 მაისი-2 ივნისი
32 „ასავალ-დასავალი“, 3-9 ივნისი
33 „ობიექტივი“, ღამის სტუდია, 20 მარტი. https://www.myvideo.ge/v/3765675

- ეთნიკური უმცირესობები = სეპარატიზმის საფრთხე: „სხვათაშორის, საქართველოს ძირძველი მიწების მისაკუთრებაზე ოცნებით, სომხებს არც აზერბაიჯანელი ნაციონალისტები ჩამოუვარდებიან! (გიორგი გიგაური, **„ასავალ-დასავალის“** ჟურნალისტი)[34] „ცენტრალური ხელისუფლების მიერ სუსტად კონტროლირებად სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა, ახმეტის მუნიციპალიტეტის პანკისელების დაუსჯელობით და აზერბაიჯანელი მესაზღვრეების თავნებობით შთაგონებული, კვლავ წამოაყენებს თავის ძველ მოთხოვნებს... როგორც წესი, ეს მთავრდება ეთნიკური არაქართველების დაპირისპირებით ქართულ სახელმწიფოსთან, რომელიც ამის შედეგად ტერიტორიებს კარგავს, როგორც ეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოხდა“. (არნო ხიდირბეგიშვილი, **„საქინფორმის“** რედაქტორი)[35].

არგენოფობიური კომენტარები წინა წლების მსგავსად ძირითადად ოპონენტების ნეგატიურ კონტექსტში სომხებად მოხსენიებას უკავშირდებოდა, ამასთანავე სომხები საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედ ეთნოსად იყვნენ წარმოდგენილი:

- სომხები საქართველს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ: „ისინი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მტრები რომ არიან და რაც მთავარია, ამას საჯაროდ აღიარებენ“ (ბესო ბარბაქაძე, **„საქართველო და მსოფლიოს“** ჟურნალისტი)[36] „სომხებს თვალი უჭირავთ ბათუმის პორტზე, თუმცა ამას ოფიციალურად ჯერჯერობით არ ადასტურებენ“[37].

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

რელიგიური ნიშნით დისრიმინაციული კომენტარების (22) უმრავლესობა მედიის შემთხვევაში ისლამოფობიური შინაარსისაა (12), თანაბარი იყო ევანგელურ- ბაპტისტური ეკლესიისა და იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები (3).

ისლამი

- უცხო ქვეყნის დაფინანსებულ საკულტო ნაგებობებში უცხო ქვეყნის აგენტებს ზრდიან: „უცხო ქვეყნის, ძირითადად თურქეთის და არაბული ქვეყნების მიერ ფინანსდება ეს ე.წ. ყურან-ცენტრები და საქართველოს მოქალაქეები უკვე არა საქართველოს პატრიოტებად, არამედ ამ ქვეყნის გავლენის აგენტებად იზრდებიან ჩვენს ქვეყანაში[38]“ (ბონდო მძინარაშვილი, **„ობიექტივის“** წამყვანი).
- აჭარაში ახალი მეჩეთის მშენებლობის საჭიროება არ დგას: „მართალია, ბათუმში ვერ ააშენეს ქართველთა სისხლში მოვასვასე სულთან აზიზიეს სახელობის მეჩეთი, სამაგიეროდ, ამბობენ, რომ აჭარაში და სხვა საქართველოში იმაზე მეტი მეჩეთია, რამდენიც აზერბაიჯანში“ (დავით მხეიძე, **„საქართველოს და მსოფლიოს“** ჟურნალისტი)[39].

34 „ასავალ-დასავალი“, 28 იანვარი-3 თებერვალი
35 „საქინფორმი“, 6 მაისი https://bit.ly/31Gj7VK
36 „საქართველო და მსოფლიო“, 4 აპრილი https://bit.ly/2FRxhZ3
37 „საქართველო და მსოფლიო“, 25 დეკემბერი https://bit.ly/365huBW
38 „ობიექტივი“, ღამის სტუდია, 6 მარტი. https://www.myvideo.ge/v/3758651
39 „საქართველო და მსოფლიო“, 12 ივნისი https://bit.ly/2WC0kX3

- **მიმდინარეობს აჭარაში ისლამიზაცია:** „რა საფრთხეებს შეიცავს აჭარაში ისლამიზაციის პროცესი, რას შეცვლის რეგიონში კიდევ ერთი მეჩეთის აშენება და რა ძალა დგას ამ ყველაფრის უკან?“ (ჯაბა ჟვანია, **„საქართველო და მსოფლიოს“** ჟურნალისტი)[40].
- **ისლამიზაციისგან საქართველო რუსეთმა იხსნა:** „რომანოვების რუსეთმა არა მხოლოდ ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა ქართველი ერი, არამედ, რაც უმთავრესია, ისლამიზაციისგან გვიხსნა“ (დავით მხეიძე, **„საქართველოს და მსოფლიოს“** ჟურნალისტი)[41].

ევანგელურ-ბაპტისური ეკლესია

- **ევანგელურ ბაპტისტური ეკლესია სატანისტური სექტაა:** „...„სხვა აღმსარებლებში“, როგორც წესი, ე.წ. ტრადიციული კონფესიები (მაჰმადიანობა, იუდაიზმი, კათოლიციზმი) კი არ იგულისხმება, არამედ სატანისტი სექტები, რომლებიც წლების წინათ ერთი კრებსითი სახელის – ხლისტი ბუდარა-ბუდარიხების – ქვეშ გავაერთიანე და სწორედ ერთმა ბუდარიხამ, ბაპტისტების დედაკაცმა-ეპისკოპოსმა [რუსუდან გოცირიძემ], ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“ დაამუნათა სალომე ზურაბიშვილი...“ (დავით მხეიძე, **„საქართველო და მსოფლიოს“** ჟურნალისტი).[42]

იეჰოვა

- **იეჰოვას მოწმეები საზოგადოებას „სატანისტურ“ სწავლებებს ახვევენ თავს:** „ისიც არ გვაკმარეს, რომ იეღოველები უკვე სახლებში გვივარდებიან და დაუსჯელად გვტენიან თავიანთ სატანისტურ „რელიგიას“, ისიც არ გვამყოფინეს, რომ პრაქტიკულად, ყველა მეტროსადგურის წინ დღისით-მზისით ამ მწვალებლების სტენდებია გაშლილი... და ახლა, უკვე იეღოველებს ჩვენი შვილების სულებზეც ანადირებენ!“ (გიორგი გიგაური, **„ასავალ დასავალის“** ჟურნალისტი)[43].
- **იეჰოვას მოწმეებისგან დაცვა მხოლოდ მართლმადიდებელ რუსეთს ძალუძს:** „მართლმადიდებელი რუსეთის იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით, უზენაესმა სასამართლომ „იეჰოვას მოწმეების“ რელიგიურ გაერთიანებას საქმიანობა აუკრძალა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა „იეჰოვას მოწმეების“ „ექსტრემისტული საქმიანობა“... მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთადერთი დამცველი კი დიდი რუსეთია! არ იქნება რუსეთი? – არ იქნება მართლმადიდებლობა. არ იქნება მართლმადიდებლობა? – არ იქნება საქართველო!“ (დავით მხეიძე, **„საქართველო და მსოფლიოს“** ჟურნალისტი)[44].

2.2 პოლიტიკოსები

პოლიტიკური პარტიებიდან სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად „პარტიოტთა ალიანსის“(197) წევრები მიმართავდნენ, რასაც „ქართული დასის“ (40), „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანის საქართველოსა“ (31) და „ქართული იდეის“ (26) წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებები მოსდევს. მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ წევრებმა მონიტორინგის პერიოდში 28 დისრკიმინაციული განცხადება გაკეთეს, ხოლო ოპოზიციური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა – 11. თავისუფალი საქართველოს წერვრების მიერ სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის 10, ხოლო ნეიტრალური სოციალისტური საქართველოს მხრიდან 7 განცხადება გაკეთდა. ლეიბორისტული პარტიისა (4) და თეთრების (4) მხრიდან კი იდენტური რაოდენობის კომენტარები გამოვლინდა.

40 „საქართველო და მსოფლიო“, 9 ოქტომბერი, https://bit.ly/35kpP4l
41 „საქართველო და მსოფლიო“, 22 მაისი, https://bit.ly/2wo3F1r
42 „საქართველო და მსოფლიო“, 12 ივნისი, https://bit.ly/2WC0kX3
43 „ასავალ-დასავალი“, 15-21 აპრილი.
44 „საქართველო და მსოფლიო“, 4 აპრილი, https://bit.ly/2ON0qJ6

დიაგრამა 13. სიძულვილის ენის წყაროები პარტიების მიხედვით



პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებებიდან ყველაზე მეტი, ჰომოფობიური (191) შინაარსის იყო, რასაც ქსენოფობიური (170) კომენტარი მოსდევს. ქსენოფობიურ განცხადებებში გაერთიანებულია ანტიმიგრანტული (84), თურქოფობიური (55), ანტიაზერბაიჯანული (19) და არმენოფობიული (10) გზავნილები. გამოიკვეთა ასევე 15 ისლამოფობიური და რეელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის სხვა 6 შემთხვევა.

დიაგრამა 14. სიძულვილის ენის ტიპოლოგია პარტიების მიხედვით



ჰომოფობია

ჰომოფობიური განცხადებების უმრავლესობა „პარტიოტთა ალიანსის“ (78) წევრებმა გააკეთეს. თითქმის თანაბარი იყო „ქართული იდეისა“ (21) და „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ (22) წევრების მიერ გაკეთებული კომენტარები. მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ წევრები 20 შემთხვევაში იყვნენ ჰომოფობიური განცხადებების წყარო.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ საკითხებზე იკვეთებოდა მმართველი პარტიის და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა, ასევე ქართული ოცნებისა და პატრიოტთა ალიანსის შეფასებების თანხვედრა:

გზავნილი: მხატვრული ფილმი გეი ურთიერთობებზე არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდას ახდენს/პროვოკაციაა.

ქართული ოცნება	ნაციონალური მოძრაობა
გია ვოლსკი: „მე არანაირად არ ვუჭერ მხარს ასეთი ფილმებით [„და ჩვენ ვიცეკვეთ“] გარკვეული ცხოვრების წესის პროპაგანდას. არსებობს დამკვიდრებული, ტრადიციული ურთიერთობები საზოგადოებაში და ეს არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი.[45]“	**მიხეილ სააკაშვილი**, *საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი:* „რაც შეეხება ფილმებს, მეგობრებო, საქართველო ფუნდამეტურად არის ქრისტიანული ფასეულობების მატარებელი ქვეყანა. ქრისტიანული ფასეულობა ნიშნავს ტოლერანტულობას, ჰუმანურობას, ძალიან ბევრი რაღაცის მიმართ გახსნილობას, მაგრამ არის რაღაც საზღვრები, რაც არ ჯდება ქრისტიანობის ფარგლებში და მოდი, ნურავის ეწყინება ეს, რომ ვიღაც ადამიანებს აქვთ თავიანთი შეხედულება. რაც შეეხება იმას, რაც ხდება, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, **ეს არის სრულიად ინსპირირებული**. საქართველოში მეტი პრობლემა არ არის, ვიდრე ფილმების გარჩევა?!“ მთავარი არხი.

გზავნილი: ანტისაოკუპაციო პროტესტი = ჰომოსექსუალების პროტესტს / გეი რევოლუციას.

ქართული ოცნება	პატრიოტთა ალიანსი
სოფო კიკაჩეიშვილი: „ცისფერები, ლეზბიანკები, პიდარასტები ყავდნენ იქ და ნაციონალები [20 ივნისის აქციაზე]! ვინ არი იქ ნორმალური, ვინ არი, ვინ?! ბიძინა ივანიშვილთან მოვა ლგბტ ხალხი?![46]“	**ირმა ინაშვილი:** „ჩვენ არ ვაკეთებთ ამ შეფასებას, რუსთავი 2-მა გააკეთა ეს შეფასება, რომ ამ პროცესს [ანტისაოკუპაციო აქციას] ქვია **გეი რევოლუციაო** და პროცესის ორგანიზატორები ვინ გამოდიან? – გეირევოლუციონერები და ახალგაზრდა ქართველო კაცო, ამ გეირევოლუციონერ პარტიებთან და პოლიტიკოსებთან როგორ დგები საერთოდ?“[47]

ქართული ოცნება

- **ლგბტ თემის ღირსების გარეშე ნაციონალური მოძრაობის მიზანმიმართული პროვოკაციაა:** „ამ ადამიანების, ამ უმცირესობის წარმომადგენლების წევრები, წარმომადგენლები პირდაპირ არიან დაკავშირებული ნაციონალური მოძრაობის ლიდერებთან... ეს არის კარგად გააზრებული პროვოკაცია, რომელსაც სახელმწიფომ უნდა გასცეს ღირსეული პასუხი... **არავითარ ღირსებას მაგ მარშთან საერთო არა აქვს...** ჩვენ ამ უმცირესობის წარმომადგენლებს მივმართავთ, არ უნდა გააღიზიანონ ასეთი ძალადობრივი, ასე ვთქვათ, ძალით არ

45 „ინტერპრესნიუსი“, 5 ნოემბერი. https://bit.ly/2EbB0U7
46 „რუსთავი 2“, კურიერი, 1 ივლისი, https://www.myvideo.ge/v/3815944
47 „ობიექტივი“, დღის ბოლოს, 16 ივლისი https://www.myvideo.ge/v/3822847

უნდა გამოიწვიონ სხვა დანარჩენი საზოგადოების წევრები, უმრავლესობის წევრები. რატომ? იმიტომ რომ მათ რეალურად საქართველოში არავითარი პრობლემა არ აქვთ...“ (ირაკლი ღარიბაშვილი, ქართული ოცნების პოლიტიკური მდივანი)[48].

- ჰომოსექსუალობა გარყვნილებაა: „ვიტყვი, რომ ეს არის გარყვნილება. ალბათ ასევე მიაჩნია ეკლესიას, რომ ეს არის ჩვენი ახალგაზრდობისთვის ძალიან მძიმე, არასწორი აგიტაცია (რევაზ არველაძე, ქართული ოცნება)[49].“
- ჰომოსექსუალობის პროპაგანდა უნდა აიკრძალოს: „უნდა აიკრძალოს აზარტული თამაშები გამკაცრდეს ემიგრაცია, მამათმავლობის და მსგავსი გარყვნილებების პროპაგანდა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ორსულ ქალებს და მრავალშვილიან ოჯახებს (ალექსანდრე ერქვანია, ქართული ოცნება)[50]“.

თავისუფალი საქართველო

- ღირსების მარში გარყვნილების პროპაგანდაა: „პარტია მიიჩნევს, რომ ოჯახის ტრადიციების პატივისცემა უნდა იყოს ქართული სახელმწიფოს ქვაკუთხედი, ხოლო უმცირესობების უფლებების დაცვის მომიზეზებით, დაუშვებელია გარყვნილების პროპაგანდა და ტრადიციულ ღირებულებებზე შეტევა“[51] (კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო).

ქართული იდეა

- ჰომოსექსუალობა სოდომური ცოდვაა: „ისინიც და ესენიც ცდილობენ, სოდომური ცხოვრების წესის მიმართ საზოგადოებაში მეტი შემწყნარებლობა-შემგუებლობა დაამკვიდრონ. რა მნიშვნელობა აქვს, ცისარტყელას ფერებში გამოწყობილი გააკეთებ ასეთ განცხადებებს თუ ანაფორაში გადაცმული?!“[52] (ლევან ჩაჩუა, ქართული იდეა).

ქსენოფობია

პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული ქსენოფობიური განცხადებებიდან ყველაზე მეტი მიგრანტების წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა დისკრიმინაციული შეფასებები სხვა ჯგუფების მიმართაც კეთდებოდა.

პატრიოტთა ალიანსი

- მიგრანტებთან მიმართებაში ისტორიული ტრავმის გაღვივება: „ჩვენი მამა-პაპა იმისთვის იბრძოდა, რომ აქ უცხოელები დასახლებულიყვნენ? ამ ხელისუფლებამ გაგვცეს პასუხი: რისთვის ასახლებდა შაჰ-აბასი თათრებს ჩვენს მიწაზე? ესაა ირანისა და თურქეთის დამპყრობლური პოლიტიკა“[53] (ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი).

48 „იმედი“, პირისპირ, 20 ივნისი https://www.imedi.ge/ge/video/39345/pirispiris-spetsialuri-gamoshveba--natsili-1#!?type=1&page=1 (0:30:05)
49 „რეზონანსი“, 17 ივნისი
50 სააგენტო „პირველი“, 15 ოქტომბერი, https://bit.ly/2MjbbTH
51 „ინტერპრესნიუსი“, 17 მაისი https://www.interpressnews.ge/ka/article/546978-tavisupali-sakartvelo-ojaxis-sicmindis-dges-dagegmil-msvlelobas-uertdeba/
52 „საქართველო და მსოფლიო“, 17 ივლისი
53 „საქართველო და მსოფლიო“, 13 თებერვალი, https://bit.ly/2S2OoeL

ქართული დასი

- **აზიელი და აფრიკელი მიგრანტების წინააღმდეგ:** „ვიკრიბებით ერი და ბერი, რომ არ დავუშვათ აზიელების და აფრიკელების მასიური ჩამოსახლება საქართველოში[54] (ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი).“

ნაციონალური მოძრაობა

- **დისკრიმინაცია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ:** „ეს რაც ქართულმა ოცნებამ გააკეთა მარნეულში, ეს იყო ჩეჩნობა და ეხლა შორს ჩვენგან ჩეჩნობა[55]“. „საქართველოში ხალხი [ბიძინა] ივანიშვილმა გააციგნა, გაბომჟა![56]“ (მიხეილ სააკაშვილი, ნაციონალური მოძრაობა).

თურქოფობია

თურქოფობიური განცხადებების უმრავლესობის წყარო ისევე, როგორც წინა წლებში „პარტიოტთა ალიანსი“ იყო (48). განცხადებების უმრავლესობა ამკვიდრებდა აზრს, რომ თურქეთი აჭარის ექსპანსიას ახორციელებს, ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები და თუ „რუსეთი ოკუპანტია, თურქეთიც ოკუპანტია“.

- **აჭარაში გათურქების პროცესების მიმდინარეობს:** „ჩვენ თვალწინ ვკარგავთ აჭარას კაცო. გათურქება ხდება ე.ი. სრული ექსპანსია აჭარაში. არავინ ხმას არ იღებს. უკვე ახალციხე, მარტო ბათუმზე კი არა ახალციხე, ოზურგეთზეა ლაპარაკი“[57] (დავით თარხანმოურავი, პატრიოტთა ალიანსი).
- **ნეიტრალიტეტი თურქული ექსპანსიის ფონზე:** „ეს [ნეიტრალიტეტი] არის გასაღები, რომ აჭარაში შეწყდეს თურქული ექსპანსია. არა მარტო აჭარაში, მე ვგულისხმობ ბათუმსაც, ახალციხესაც, ანუ, მესხეთსაც ვგულისხმობ, ოზურგეთსაც ანუ, გურიას, ეს რომ შეწყდეს“[58] (დავით თარხანმოურავი, პატრიოტთა ალიანსი).
- **თუ რუსეთია ოკუპანტი, თურქეთიც ოკუპანტია:** „დადის ადამიანი, მაისურზე აწერია „რუსეთი ოკუპანტია“. მილიონჯერ ვუთხარი: ეს რომ გიწერია „რუსეთი ოკუპანტია“ – „თურქეთი ოკუპანტია“ ესეც დაწერე“[59] (დავით თარხანმოურავი, პატრიოტთა ალიანსი).
- **თურქეთი ყარსის ხელშეკრულება საფრთხეს უქმნის ტერიტორიულ მთლიანობას:** „ყველა მეზობელს გაუჩნდა სურვილი, კარგსაც და ცუდსაც, რო საქართველო იშლება, მიდით, ბიჭებო, ჩამოაჭერით რა... ვერც იოცნებებდნენ ისეთ რაღაცეებზე ჩალიჩობენ უკვე, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტომ გააკეთა ეგ განცხადება, რო ბათუმი თუ დაიბობბება, ძმაო, მე უნდა მივხედოო ბათუმსო, დიახ, ომის დროს, ყარსის ხელშეკრულებაში წერია, აჭარის ავტონომიის გარანტი ვინ არი – თურქეთი, ხო“[60] (გუბაზ სანიკიძე, გამარჯვებული საქართველო).

არმენოფობია

პოლიტიკური პარტიებიდან არმენოფობიური კომენტარების უმეტესობის (9) წყარო „პატრიოტთა ალიანსი“ იყო.

54 „ობიექტივი“, ახალი ამბები, 13 თებერვალი https://www.myvideo.ge/?video_id=3748285
55 „იმედი“, იმედის კვირა, 24 თებერვალი. https://bit.ly/3kPWLd0
56 „რუსთავი 2“, პოსტსკრიპტუმი, 21 აპრილი. http://www.rustavi2.ge/ka/video/42166?v=2
57 „ობიექტივი“, დღის ბოლოს, 15 აპრილიhttps://www.myvideo.ge/?video_id=3777738
58 „ობიექტივი“, დღის ბოლოს, 31 მაისი. https://www.myvideo.ge/v/3798927
59 „ობიექტივი“, დღის ბოლოს, 12 ივლისი. https://www.myvideo.ge/v/3821222
60 „მარშალპრესი“, 23 ნოემბერი. https://marshalpress.ge/archives/267159

- **სომხეთი აფხაზეთის არმენიზაციას ახორციელებს და საქართველოს მტრობს:** „აფხაზეთში რასაც აკეთებს სომხეთის სახელმწიფო, ეს არის საქართველოსთვის მტრობა... აფხაზეთში, უნდა შეწყდეს ყოველგვარი ასე ვთქვათ, ხელოვნურად სომხების ჩასახლება, ხელოვნურად სომხური დიასპორის ზრდა უნდა შეწყდეს იქ და ხელოვნურად, მე ვიტყოდი, არმენიზაცია უნდა შეწყდეს აფხაზეთის“[61].

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

პოლიტიკოსების მიერ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის განცხადებებიდან უმრავლესობა (15) ისლამოფობიური შინაარსის იყო, თუმცა გვხვდებოდა იეჰოვას მოწმეთა და სხვა კონფესიათა წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარებიც.

- **აჭარაში მუსლიმური სკოლა პანსიონებში ახალგაზრდების განათლება თურქეთის ინტერესებს ემსახურება:** „დღის წესრიგში, კიდევ ერთხელ დავაყენე საკითხი: დაიწყოს შესწავლა აი, ამ ულიცენზიო, ავტორიზაციის გარეშე მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებების, რელიგიურ დაწესებულებებს, ყურან ცენტრებს ვგულისხმობ, რაც თურქული და არაბული ფულით იხსნება აჭარის რეგიონში და ვკარგავთ ჩვენ ახალგაზრდობას. ასევე, გავამახვილე ყურადღება 3000-ზე მეტი ახალგაზრდაა ბოლო წლების მანძილზე, 4000-მდე რომელმაც უკვე მიიღო რელიგიური განათლება ანკარაში. იქ არ მიჰყავთ იმისათვის ჩვენი მოსწავლეები, რომ მათემატიკა ან პროგრამირება ისწავლონ, ანუ მასობრივად მიჰყავთ რელიგიურ დაწესებულებებში“[62] (ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი).
- **ისლამიზაცია საფრთხე რეალურია:** „ფაქტიურად, ახალგაზრდობას გვართმევენ [თურქები] და რჯულს უცვლიან ხომ?! იმ რჯულს, რომლითაც ჩვენმა წინაპრებმა აქამდე მოიტანეს საქართველო, რომელსაც ილია ჭავჭავაძე დედა აჭარის საქართველოსთან დაბრუნებას სიხარულით შეხვდა“[63] (ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი).
  „ცოტა ხანიც და ჩამოსული მუსლიმანები, რომლებიც ყიდულობენ ბინებს საქართველოში, ქართველებზე მეტნი გახდებიან“[64] (ლევან ჩაჩუა, ქართული იდეა).
- **იეჰოვას მოწმეები გართლგადიდებელთა უფლებებს ლახავენ:** „ქვეყანაში, სადაც შუა ქუჩაში დგას ე.წ. იეჰოვას მოწმეების სექტანტური ლიტერატურის გამავრცელებელი სტენდები და ყველა საშუალებით მიმდინარეობს აგრესიული პროზელიტიზმი, რა უფლებების დარღვევაზეა საუბარი?! ამ ქვეყანაში მხოლოდ ქართველების უფლებები ირღვევა და მხოლოდ მართლმადიდებლობის დისკრედიტაცია მიმდინარეობს“[65] (ლევან ჩაჩუა, ქართული იდეა).

2.3 საზოგადოებრივი ორგანიზაციები

გამოიკვეთა 8 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად მიმართავდა, მათგან ლიდერობენ „ქართული მარში“ (76) და „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ (71), რომელთაც უფლებადამცველთა გაერთიანება (51), პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული ფონდი (30), ქართული მისია (21), სახალხო კრება (14) და ევრაზიის ინსტიტუტი (10) მოსდევენ.

61 „ობიექტივი“, დღის ბოლოს, 2 მაისი. https://www.myvideo.ge/v/3785179
62 „ობიექტივი“, დღის ბოლოს, 3 მაისი https://www.myvideo.ge/v/3785630
63 „ობიექტივი“, ღამის სტუდია, 7 მარტი https://www.myvideo.ge/v/3759725
64 „ასავალ-დასავალი“, 4-10 ნოემბერი.
65 „საქართველო და მსოფლიო“, 13 მარტი https://bit.ly/2T5oXK6

დიაგრამა 15. სიძულვილის ენის წყაროები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით



აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაკეთებული განცხადებების უმეტესობა (254) ჰომოფობიური შინაარსის იყო, აქედან 71 კომენტარი ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებას ეკუთვნის. ამასთანავე გაკეთდა ქსენოფობიური (57), ისლამოფობიური (10), სხვადასხვა ნიშნით სიძულვილის ენის შემცველი (7) და რასისტული (1) განცხადებებიც.

დიაგრამა 16. სიძულვილის ენის წყაროები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით



ჰომოფობია

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ განცხადებებში ჭარბობდა აზრი, რომ ლგბტ თემის აქტივობები გარყვნილების პროპაგანდაა (43) და ისმოდა მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მოწოდებები (42). ამასთანავე გარკვეულ შემთხვევებში 20 ივნისის ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქციის ლგბტ თემთან და გეი-აღლუმთან დაუსაბუთებელი დაკავშირება ხდებოდა.

- **პრემიერ გახარიას წინააღმდეგ პროტესტი არა 20 ივნისის ანტისაოკუპაციო აქციის დაშლას, არამედ გეი-აღლუმის ჩატარებაზე გახარიას უარს უკავშირდება:** „რისთვის ისჯება გახარია??? უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ რეზინის ტყვიები საბაბია, მიზეზი

სხვაა, მიზეზი გეი-აღლუმის გამართვაზე 2-ჯერ უარის თქმაა!!! დიახ-გახარიას დასჯას მამათმავლები, გეი-პრაიდის ორგანიზატორები ცდილობენ, ის ხალხი, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ გეი-მარშის ჩასატარებლად!!! ფსიქოლოგიურად ცნობილია, რომ ლგბტ ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი ადამიანებია, რომლებიც არავის ინდობენ და ყველაფერს კადრულობენ შერჩეული მტრის გასანადგურებლად!!!... სიტუაცია მარტივად აღსაქმელია – დამარცხდება გახარია??? გაიმარჯვებენ მამათმავლები. გაიმარჯვებს გახარია??? დამარცხდებიან მამათმავლები!!![66]“ (სანდრო ბრეგაძე, ქართული მარში).

- **ლგბტ თემის შეკრება გარყვნილების პროპაგანდას:** „ჩვენ ვიცავთ კანონს, პოლიცია კი გარყვნილების პროპაგანდას ხელს უწყობს. პოლიცია გამოდის კონსტიტუციის ჩარჩოებიდან. თუ ეს გარყვნილებაა, მაშინ პოლიციამ ამის პროპაგანდა უნდა აღკვეთოს[67]“ (გურამ ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება).
- **საქართველოს მოქალაქეები ვერ შეეგუებიან გარყვნილების პროპაგანდას:** „როგორ წარმოგიდგენიათ, ქვეყანა, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ტრაგედიად აღიქვამს მომავალი თაობების გამრყვნელი პოლიტიკის განხორციელებას, შეეგუება მამათმავლობის დაკანონებას?!.. ან რომელი კორდონი და ჯებირი დაიცავს გარყვნილების მქადაგებელი ადამიანების ერთ მუჭა ჯგუფს, თუ ასიათასობით ადამიანი გამოვა ქუჩაში?![68]“ (დიმიტრი ლორთქფანიძე, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი).

ქსენოფობია

ხდებოდა სპეკულაციები გაეროს პაქტის (მარაკეშის შეთანხმება) შესახებ, რომელიც გარკვეული საზოგადოებირივი ორგანიზაციების ინტერპრეტაციით საქართველოს მიგრანტების მიღების ვალდებულებას აკისრებდა:

- **გაეროს პაქტი მიგრანტების შემოსვლას და კრიმინალის გაუარესებას გამოიწვევს:** „მიგრანტების შემოყვანის პაქტს ხელი რომ მოაწერეს, ჯერ კიდევ ვერ ხვდება ხალხი, ეს რა უბედურებაა. ცოტა ხანში, გადაივსება თბილისი აფრიკელი კრიმინალებით, ბავშვსა და ქალს ვერ გაუშვებენ ქუჩაში. სირიელმა ლტოლვილებმა რა დღეში ჩააგდეს გერმანია, ნახე ერთი. მაგათ ხარჯზე მოიმატა კრიმინალმა, არ არსებობს დანაშაულის სახეობა, ეგენი რომ არ სჩადიოდნენ, თან განსაკუთრებული სისასტიკით. არც აფრიკისა და აზიის სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტები იქნებიან ანგელოზები[69]“ (რამაზ გაგნიძე, ქართული მარში).
- **გაეროს პაქტი დემოგრაფიულ სურათს გააუარესებს:** „ეს ყველაფერი საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე, რა თქმა უნდა და რაც ყველაზე მთავარია ეს არის მიმართული ქვეყანაში დემოგრაფიული პლაზმის შესაცვლელად[70]“ (დიმიტრი ლორთქიფანიძე, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი).

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული ყველა განცხადება (10) ისლამოფობიური შინაარსის იყო და მეტწილად მუსლიმების ტერორიზმთან დაკავშირებას და პანსიონების საფრთხეებთან გაიგივებას ახდენდა.

66 „მარშალპრესი“, 29 ივნისი https://bit.ly/2Q6PabU
67 „ინტერპრესნიუსი“, 18 ივნისიhttps://www.interpressnews.ge/ka/article/552041-guram-palavandishvili-vapirebt-akcias-cin-davud get-kordonit-shishveli-xelebit-chven-vicavt-kanons-policia-ki-garqvnilebis-propagandas-xels-ucqobs/
68 „საქართველო და მსოფლიო“, 28 მარტი https://bit.ly/2OxJMwN
69 „ალია“, 25 თებერვალი-3 მარტი
70 „ობიექტივი“, ახალი ამბები, 2 თებერვალი https://www.myvideo.ge/?video_id=3743718

- **მუსლიმური სკოლა-ინტერნატები = საფრთხე:** „ჩვენ ხომ ვხურავთ სკოლა-ინტერნატებს, იგენი [მეზობელი ქვეყნის ფუნდამენტალისტი მუსლიმები] ხსნიან სადღეღამისო მედრესე პანსიონებს, სადაც არაფერს ქართულს არ ასწავლიან[71]“ (თენგიზ თავდგირიძე, მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად).
- **პანკისში რელიგიის სახელით შენიღბული ექსტრემიზმი კანონით უნდა შეიზღუდოს:** „ჯერჯერობით კი პანკისში გრძელდება კანონით შეუზღუდავი იდეოლოგიური პროპაგანდა. ჩვენი პარლამენტი უამრავ ფუჭ კანონს ღებულობს, ნაცვლად იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს საკანონმდებლო დონეზე შეზღუდოს სარწმუნოების თავისუფლების პრინციპით შენიღბული ექსტრემისტები[72]“ (გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტი).

2.4 სასულიერო პირები

გამოიკვეთა ოთხი სასულიერი პირი, რომელთა დისკრიმინაციული განცხადებები მონიტორინგის სუბიექტ მედიაში ყველაზე ხშირად შუქდებოდა.

სასულიერო პირი	სიძულვილის ენა
გიორგი რაზმაძე	30
დავით ისაკაძე	15
დავით ქვლივიძე	9
სპირიდონ აბულაძე	7

სასულიერო პირთა მიერ გაკეთებული განცხადებათა უმეტესობა(111) ჰომოფობიური შინაარსის იყო, რასაც ქსენოფობიური(20), რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის (7), სიძულვილის გამაღვივებელი (4) და რასისტული (1) კომენტარები მოსდევს.

ჰომოფობია

- **ჰომოსექსუალობა ცოდვაა და უნდა შეიზღუდოს:** „ჩემო კარგებო, ვინც ამ გზით დადიხართ, ვისაც სოდომის ცოდვის სნეულება გჭირთ, მოინანიეთ, გვერდში დაგიდგებთ, მაგრამ თქვენს ქადაგებას არ დავუშვებთ საქართველოში, ეს იცოდეთ. ზნეობა და სიწმინდე უნდა დავიცვათ. მიგიღებთ არ არის პრობლემა, მოდით ჩვენთან, არ გკრავთ ხელს, მაგრამ ნუ შეგვიგინებთ ჩვენს სიწმინდეს, აქ ნუ გამოივლით, არ დაგიშვებთ გამორიცხულია[73]“ (დავით ისაკაძე, სასულიერო პირი).
- **ჰომოსექსუალობა ფსიქიური დაავადებაა:** „არ შეიძლება, გამოხატვის თავისუფლება ეწოდოს, როცა კაცი თავს ქალად ასაღებს და კაბაში გამოწყობილი ქუჩაში ზეიმს აწყობს; არ შეიძლება, უფლება ეწოდოს შიშველი მამაკაცების მსვლელობასა და ხვევნა-კოცნას; ასეთი ადამიანები ქუჩაში მსვლელობას კი არ უნდა აწყობდნენ, საავადმყოფოში ან ფსიქიატრიულში უნდა მკურნალობდნენ...[74]“ (გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი).

71 „ობიექტივი“, ახალი ამბები, 6 თებერვალი https://www.myvideo.ge/v/3745016&tracker=subscribe_log
72 „საქინფორმი“, 12 მარტი https://bit.ly/3iPnjth
73 „მარშალპრესი“, 8 ივლისი, https://marshalpress.ge/archives/248756
74 „საქართველო და მსოფლიო“, 27 თებერვალი

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

- **კათოლიციზმი მწვალებლობაა, ხოლო კათოლიკეებთან თანამშრომლობა-განსაცდელი:** „გაცილებით მძიმე შედეგები დგება, როცა მაღალი რანგის სასულიერო პირი კომპრომისზე მიდის კათოლიკური მწვალებლობის პირველ პირთან. ამის გამო განსაცდელი შეიძლება თავად ეკლესიას დაატყდეს. კათოლიციზმი ხომ, ეკლესიური დოგმატებიდან უდიდესი გადახვევა და მწვალებლობაა. რუსეთის ეკლესიისთვის განსაცდელთა ციკლი მას შემდეგ დაიწყო, რაც 3 წლის წინათ კუბაში რუსეთის პატრიარქმა კირილემ და რომის პაპმა ფრანცისკემ ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი. მაშინ რუსეთის პატრიარქი თვალებში შესციცინებდა მწვალებელს[75]“ (დავით ისაკაძე, დეკანოზი).

რასიზმი

- **შავპანიანების ღვთის მიერ დასჯილი ადამიანის შთამომავლები არიან:** „ქამი ხარ [პეტრე ცაავა], რაც ქამმა გააკეთა, იმას აკეთებ შენ. შენ თუ არ მოტრიალდები და არ შეინანებ, ზუსტად იგივე გახდები. ქამის შთამომავლობა გახდა ზანგები და ვინც შენ აგყვება, ისინი გაშავდებიან[76]“ (ეპისკოპოსი სპირიდონი).

2.5 საზოგადოება

ისევე, როგორც სასულიერო პირების შემთხვევაში საზოგადოების წევრთა მიერ გაკეთებული განცხადებების უმრავლესობა ჰომოფობიური იყო (249), რასაც ქსენოფობიური (94), სიძულვილის გამაღვივებელი (34), რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის (16) და რასისტული (3) კომენტარები მოსდევს.

საზოგადოების მიერ გაკეთებული განცხადებების უმრავლესობა ბიზნესმენ ლევან ვასაძეზე მოდის.

საზოგადოება	სიძულვილის ენა
ლევან ვასაძე	88
ობიექტივი ტელემაყურებელი	17
გურამ ქართველიშვილი	16
თამარ კიკნაძე	13
რეზო ამაშუკელი	13
გია გაბრიჭიძე	9

75 „ასავალ-დასავალი“, 21-27 იანვარი
76 „რეზონანსი“, 16 იანვარი, http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=4&id_artc=63616

ჰომოფობია

- **ანტისაოკუპაციო აქცია არის პროვოკაცია, რომელიც უკავშირდება გეი პრაიდს:** „ეს არის ტრაგედია ჩვენი ერის, მე ვრჩები იმ აზრზე, რომ ეს ორი მოვლენა არის ერთი ჯაჭვის რგოლები, დაიწყო პრაიდით და გაგრძელდა იქ. ეს არის მიზანმიმართული ერთიანი პროვოკაცია, რომელიც აბსოლიტურად უნიჭოდ იმართება და მიზნად ისახავს ქართული სახელმწიფოს, როგორც მინიმუმ, დესტაბილიზაციას... ვინც ტყვიებს ესვრის, ქუჩებში აკოტრიალებს და სულში აფურთხებს და ეუბნება: ხან პრაიდს და ხან რუს დეპუტატს დაგიჯენ თავმჯდომარის სკამზე, ასეთი ხალხი, ეს ხალხი ჩემთვის ეს არ არის ხალხი[77]“ (ლევან ვასაძე, ბიზნესმენი).

ქსენოფობია

- **მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისება საშშობლოს ღალატის ტოლფასია** „ჰოდა, შექმნეს კიდეც ეს მოღალატური ორგანული კანონპროექტი [მიწის შესახებ], რომლითაც, ფაქტობრივად, კანონდება ჩვენი სტრატეგიული სიმდიდრის უცხოტომელებზე გასხვისება! სამშობლოს ღალატი კი მეტი არაფერია![78]“ (გელა ღლიღვაშვილი, პროფესორი).
- **მიგრანტები ქართველების ადგილს დაიკავებენ:** „წარმოიდგინეთ, რა მოხდება საქართველოში, როდესაც მართლაც „მსხმოიარე“ ეთნოსებს შემოიყვანენ. საქართველო არსებობას დაასრულებს, დევნილები, რომლებზეც საუბარია, აგრესიული ხალხია. ჩვენ ამას ყოველ წუთს ვხედავთ ევროპის მაგალითზე. დევნილები ჩვენს ქვეყანაში მოვლენ იმისთვის, რომ ჩვენ გაგვყარონ ამ ქვეყნიდან. ეს ნებისმერი დევნილის მიზანია, თანაც ისეთი ედემიდან, როგორიც ჩვენი ქვეყანაა[79]“ (გურამ ქართველიშვილი, ისტორიკოსი).

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

- **იეჰოვას მოწმეების საქმიანობა კანონით უნდა აიკრძალოს:** „ვფიქრობ, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც უნდა მიიღონ კანონი და აიკრძალოს იეღოველთა საქმინობა... ესენი არიან სექტანტები და მათი კარდაკარ წოწიალი უნდა დასრულდეს![80]“ (ნინო მიქიაშვილი).

77 „ინტერპრესნიუსი“, 21 ივნისი, https://bit.ly/3iVPIn4
78 „ასავალ-დასავალი“, 18-24 მარტი
79 „საქართველო და მსოფლიო“, 31 იანვარი https://bit.ly/2MIFr9d
80 „ასავალ-დასავალი“, 13-19 მაისი